ოქმი:**ო03. 3724047001**

თარიღი:**16/02/2024**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი 16 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ბ. მელუა, გ. შარაშენიძე, ნ. ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ, აღნიშნა, რომ სარეზევო ფონდის რაოდენობა და ხარჯვაც განსაზღვრულია საქართველოს კანონების ადგილობრივი თვითმმართველობისა და საბიუჯეტო კოდექსებით, 2023 წელში გახარჯულია სარეზერვო ფონდის 67,5 %, აქედან ყველაზე მეტი თანხა დახარჯულია სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე და და ამ მოვლენებით დაზარალებული მოქალაქეების აუცილებელი საჭიროებების დაფინანსებაზე. 2023 წელში განათლებისა და სპორტულ ღონისძიებებზე ფონდიდან თანხები არ დახარჯულა, რაც კარგი მაჩვენებელია და მიუთითებს ბიუჯეტის სწორ დაგეგმვაზე, შემცირებულია მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე გამოყოფილი თანხები, მაგრამ სამედიცინო მომსახურებაზე გაცემული საგარანტიო წერილებით გაცემული თანხები კვლავ მაღალია. თანხები გაცემულია მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ძირითადად სარეზერვო ფონდის ხარჯვა აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, მაგრამ, ამასთან, საჭიროა მისი მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესდეს,

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დოკუმენტის წარდგენას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა დაკომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი